საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/09

ქ. ბათუმი 04 თებერვალი 2019 წ.

ერასმუს + გაცვლით პროგრამაში (მობილობა უცხოეთში) მონაწილეობის უფლებამოპოვებულ ბსუ-ს სტუდენტთან გასაფორმებელი შეთანხმების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებისა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ნანა ყურშუბაძის 2019 წლის 1 თებერვლის N109907 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ერასმუს+ გაცვლით პროგრამაში (მობილობა უცხოეთში) მონაწილეობის უფლებამოპოვებული ბსუ-ს სტუდენტის მიერ მიმღებ უნივერსიტეტთან დასადები (დადებული) საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბსუ-სა და სტუდენტს შორის **გაფორმდეს შეთანხმება** თანდართული ფორმის შესაბამისად **(დანართი 1).**
2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული შეთანხმების გაფორმება ინიცირებული და ორგანიზებული იქნეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ, ხოლო კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (სასწავლო პროცესის მიმართულებით).
3. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული და სტუდენტთან გაფორმებული ,,შეთანხმების“ დედანის ერთი ეგზემპლარი გადაეცეს სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი განთავსდეს სტუდენტის პირად საქმეში, მის ხელშეკრულებასთან ერთად (შეთანხმების სკანირებული ვერსია განთავსდეს სტუდენტის გვერდზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს).
4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ერასმუს + გაცვლით პროგრამაში (მობილობა უცხოეთში) მონაწილეობის უფლებამოპოვებულ ბსუ-ს სტუდენტთან გასაფორმებელი შეთანხმების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 04 თებერვლის N 01-02/09 ბრძანების

დანართი 1

შეთანხმება

ქ. ბათუმი ,,_____”,,_____” 201_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ----------და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _ _ _

4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმება არის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების (საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ) განუყოფელი ნაწილი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„უნივერსიტეტი"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.
№35/32

(რექტორის ან რექტორის მოადგილის ხელმოწერა)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა

„სტუდენტი"

სახელი, გვარი _
პირადი № _
ფაქტობრ. მისამ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
რეგისტრ.მისამ. ----------
ტელეფონი _
ელ. ფოსტა_ _

საკონტაქტო პირის (ოჯახის წევრი ან სხვა) სახელი, გვარი და ტელეფ. ნომერი და მისამართი

სტუდენტის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _